ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 56

"21" თებერვალი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის II ჩიხი, №10-ის მიმდებარედ არსებული 9231 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.18.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „CBD Development"-ისთვის (ს/ნ. 404382921) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის II ჩიხი, №10-ის მიმდებარედ არსებული 9231 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „CBD Development"-ისთვის (ს/ნ. 404382921) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 თებერვლის №23.178.193 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის II ჩიხი, №10-ის მიმდებარედ არსებული 9231 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.18.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „CBD Development"-ისთვის (ს/ნ. 404382921) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, უპატრონო ძაღლთა თავშესაფარის კომპლექსის (ადმინისტრაციული შენობა, 150 ძაღლზე გათვლილი ვოლიერი, საოპერაციო და საკარანტინე სივრცე და სხვადასხვა დამხმარე შენობა-ნაგებობები) მშენებლობის და ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, ხელშეკრულების გაფორმებიდან (შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან) არაუგვიანეს 2 (ორი) წლის ვადაში განხორციელებული უნდა იქნას არანაკლები 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების პირობით,

ზემოაღნიშნული მთავრობის განკარგულების დანართით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 15 (თხუთმეტი) წლის ვადით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე